ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს ,,ზ და გ ბილდინგ კომპანი"

საფუძველი: №12/13200315-16 19.07.2013წ

მისამართი: ქ.თბილისი სექტორი სამგორი, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ (ნაკვ.№07/047)

საკ.კოდი: 01.19.24.007.047

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №01/2798 19.09.2011წ.

მშენებლობის სანებართვო მოწმობა – ნ/2943-1 19.09.2011წ

ფუნქციური დანიშნულება: საწარმოო-სასაწყობო შენობა-ნაგებობების და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ადმინისტრაციული ნაგებობის (ოფისი).

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (25.07.2013) დადგინდა:

№2 ძირითადი საამქრო

ფასადი 1-8 ღერძებში:

შეცვლილია კარების გაბარიტი, მონაცვლებული აქვთ ადგილი, მათ წინ მოწყობილია პანდუსები და კიბის საფეხურები, ასევე შეცვლილია აღნიშნული კარების ნახატი. დამატებულია სამი კარი. +3.60 ნიშნულზე დამატებულია სამერცხლე.

ფასადი 8-1 ღერძებში:

+5.20 და +9.00 ნიშნულზე სახურავი გადმოსულია შენობის კონტურიდან.

კედლის სისქე არ ემთხვევა საპროექტოს. შენობის შიგნით გაუქმებულია სვეტები. 1-2 მონაკვეთში დამატებულია ლითონის კიბე. 2-2 ღერძზე დამატებულია ორი სვეტი. ლითონის კონსტრუქციების იერსახე არ ემთხვევა საპროექტოს.

საპროექტო შენობა გაზრდილია სიგრძეში და ფართი მომატებულია 65 კვ.მ-ით.

№3 საწყობი

საპროექტო კედლების ნაცვლად მოწყობილია კონტეინერები და მათ თავზე მოწყობილი გადახურვის ძირები აწეულია, აღნიშნული სახურავის ქვეშ კედლები შესავსებია. ფასადებზე შეცვლილია კიბეების ფორმა და ლითონის მოაჯირების მოწობა დასამთავრებელია, აღნიშნული კიბეების ქვეშ დამატებულია ლითონის დამჭერები. ორი კარის წინ დამატებულია საფეხური.

ფასადი 1-4 ღერძებში

გაზრდილია კარის გაბარიტი და აღნიშნულ კარში მოწყობილია კარის ღიობი.

ფასადი გ-ა" ღერძებში

დამატებულია ფრამუგა და კარი.

შენობის შიგნით ლითონის ფერმის კონსტრუქციული იერსახე არ ემთხვევა საპროექტოს. შენობის გარეთ უკანა ფასადის მხარეს მოწყობილია ტრანსფორმატორი და დაბალი კედელი. ხოლო წინა ფასადის მხარეს დამატებულია ტექნიკური ორმო. **პროექტის ხარვეზი:** გარე კიბეების ქვეშ გაუქმებულია ლითონის სვეტები, შესრულებულია რენდერის მიხედვით. ხოლო ა-გ ფასადზე გ-გ ღერძთან დამატებულია, რაც შესრულებულია გეგმის მიხედვით.

არსებული ღობე და ტრანსფორმატორი გასულია საკადასტრო წითელი საზღვრიდან.

შენობა №1 (ოფისი) და №4 (ტუალეტი) არ არის აშენებული.

ვ. ამისულაშვილი

გ. გეგელაშვილი